აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
10 ივლისი, 2019
დადგენილება №66 (18/19)

ენათა ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ

1. ენათა ცენტრში ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის სასწავლო დატვირთვის მთლიანი წლიური მოცულობა განისაზღვროს - 500 საათი; მათ შორის ლექცია-პრაქტიკული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვროს 360 საათი;
2. ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტს უფლება აქვს სასწავლო დატვირთვის ნორმის (500 საათი) ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა საათობრივი ანაზღაურების წესით არაუმეტეს 170 საათის (ლექცია-პრაქტიკული მუშაობა 70%; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 30%) ოდენობით, რისი ანაზღაურებაც მოხდეს ინდივიდუალური დატვირთვით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ.
3. იმ პირებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან ენათა ცენტრში მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით, სასწავლო დატვირთვის მოცულობა განესაზღვროთ არანაკლებ 260 საათისა (ლექცია-პრაქტიკული მუსაობა 70 %; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 30%);
4. ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (12-ზე ნაკლები) ინდივიდუალურ დატვირთვაში სასწავლო ნორმატივები განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის დადგენილების (№65(18/19) მე-13 მუხლის „ტ“ და „შ“ პუნქტებით;
5. ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უხდება სამაგისტრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (5-ზე ნაკლები) ინდივიდუალურ დატვირთვაში სასწავლო ნორმატივები განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის დადგენილების (№ 65 (18/19) მე-13 მუხლის“ ს“ პუნქტით;
6. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პირის სასწავლო წლიური დატვირთვის მოცულობა და ანაზღაურების წესი (ამ დადგენილების პირველი, მე–2, მე-4 და მე–5 მუხლით განსაზღვრული ნორმებისადმი პირდაპირი პროპორციის გათვალისწინებით) შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით;
7. გაუქმდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ივნისის დადგენილება № 102 (17/18) ენათა ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზრაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ;
8. დადგენილება ამოქმედდეს 2019-2020 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი